ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2603688

ნომერი: AR1403047

თარიღი : 09.05.2016

გაცემის თარიღი : 19.05.2016

გაცნობის თარიღი : 19.05.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გერგეთის გას. N7ა / ქალაქი თბილისი , გერგეთის გასასვლელი N7ა-ს მიმდებარედ./ ქალაქი თბილისი , გერგეთის გას N7ა მიმდ / ქალაქი თბილისი , გასასვლელი , გერგეთი , N 7ა / ქალაქი თბილისი , გერგეთის გას. N7ა მიმდ. / ქალაქი თბილისი , გერგეთის გას. N7ა / ქალაქი თბილისი , გერგეთის გასასვლელი N7ა-ს მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ხმალაძე პ/ნ 35001018932
- კ. მაყაშვილის ქ. #1/10

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის

14/03/2016წ. N2455509 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს, 09/05/2016წ. AR1403047 განაცხადით, მომართეს გიორგი ხმალაძემ და ნიკოლოზ წიკლაურმა, რომელთაც მოითხოვეს ტექნიკური შეცდომის გასწორება სამსახურის 14/03/2016წ. N2455509 ბრძანებასა და ამავე ბრძანებით შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციაში.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 14/03/2016წ. N2455509 ბრძანებით, შეთანხმდა ქ. თბილისში, (სექტორი –მთაწმინდა), გერგეთის გასასვლელი N7ა / გერგეთის გასასვლელი N7ა–ს მიმდებარედ / გერგეთის გასასვლელი N7ა–ს მიმდებარედ / გასასვლელი გერგეთის N7ა / გერგეთის გასასვლელი N7ა მიმდებარედ / გერგეთის გასასვლელი N7ა / გერგეთის გასასვლელი N7ა–ს მიმდებარედ, ამხანაგობა „გერგეთი რეზიდენსის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლების განმარტებით, 14/03/2016წ. N2455509 ბრძანებაში დაფიქსირებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები არ შეესაბამება შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციას, ასევე, ობიექტის გეგმებზე, შეცდომით იქნა დატანილი ცალკეული მაჩვენებლები, რის გამოც წარმოდგენილი განაცხადით, მოთხოვნილია გასწორდეს დაშვებული შეცდომა, ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 1849.9, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 933.0, დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 1023.4, ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 1770.8, საერთო ფართობი (კვ.მ).: 8768.1 და ობიექტის II სართულის გეგმა ნიშნულზე –9.80, I სართულის გეგმა ნიშნულზე –6.80, 0 სართულის გეგმა ნიშნულზე –3.50, I სართულის გეგმა ნიშნულზე 0.50, II სართულის გეგმა ნიშნულზე 4.20, III სართულის გეგმა ნიშნულზე 7.90, IV სართულის გეგმა ნიშნულზე 11.6, V სართულის გეგმა ნიშნულზე 15.30, VI სართულის გეგმა ნიშნულზე 19.00, სახურავის გეგმა ნიშნულზე 22.2 ჩანაცვლდეს განაცხადით წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გეგმებით, რომლებზეც დატანილი იქნა გასწორებული მაჩვენებლები.

სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ გასწორებული მაჩვენებლები და ობიექტის გეგმები, რომლებზეც დაზუსტებული იქნა ცალკეული მაჩვენებლები, შესაბამისობაშია შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა, გაასწოროს ტექნიკური შეცდომა სამსახურის 14/03/2016წ. N2455509 ბრძანებაში დაფიქსირებულ ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში და შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტაციის გეგმები ჩაანაცვლოს განაცხადით წარმოდგენილი გეგმით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 14/03/2016წ. N2455509 ბრძანებაში, ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 1849.9, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 933.0, დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 1023.4, ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 1770.8, საერთო ფართობი (კვ.მ).: 8768.1 და შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტაციის II სართულის გეგმა ნიშნულზე –9.80, I სართულის გეგმა ნიშნულზე –6.80, 0 სართულის გეგმა ნიშნულზე –3.50, I სართულის გეგმა ნიშნულზე 0.50, II სართულის გეგმა ნიშნულზე 4.20, III სართულის გეგმა ნიშნულზე 7.90, IV სართულის გეგმა ნიშნულზე 11.6, V სართულის გეგმა ნიშნულზე 15.30, VI სართულის გეგმა ნიშნულზე 19.00, სახურავის გეგმა ნიშნულზე 22.2, ჩანაცვლდეს, 09/05/2016წ. AR1403047 განაცხადით წარმოდგენილი, ამავე ნიშნულების გეგმებით. ბრძანება სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელი.

2. ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 14/03/2016წ. N2455509 ბრძანებასთან ერთად.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.